# ლელო

ოქტომბერი. 1995 წ.
ფასი 30 თეთრი

№39
(10950)

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სიხარული...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.


საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა


ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი

## შინ გამარჯვება — სტუმრად მარცხის შემდეგ

სლოვაკეთის ნაკრებთან სტუმრად 73:82(29:41) დამარცხების შემდეგ, ჩვენმა გუნდმა მორიგი შეხვედრა შინ ჩაატარა.

**საქართველოს ნაკრები — ბოსნია ჰერცოგოვინას ნაკრები 77:66 (30:28)**
**საქართველოს ნაკრები: ჩხეიძე (15 ქულა), სანაძე (24), დერიუგინი (11), დარსაძე (3), შენგელია (2), სტეფანია (15), ქარაბაკი (4), ტურაშვილი (3).**
**ბოსნია-ჰერცოგოვინა: გორჩი (5), ბეჩირაჩიჩი (14), კორლატოვიჩი(8), ბუკვა (25), კახრიმანოვიჩი (2), გიკვა (2), მუმინოვიჩი (10).**
**მსაჯები: ტოშევი (ბულგარეთი), დოლნეკი (ჩეხეთი).**

მასპინძელთა რიგებში გამოჩნდა ახალგაზრდა ტანმაღალი მოთამაშე ვლადიმერ სტეფანია, რომელიც სამი წელია სლოვენიაშია კონტრაქტით მიწვეული და ახლა ბევრად განაპირობა მასპინძელთა წარმატება. შესვენებამდე მისი მთავარი საზრუნავი საკუთარი ფარის უვნებელყოფა გახლდათ, რის წყალობითაც მეტოქეთა დიდ მცდელობას — ანგარიშში მოზრდილი სხვაობით გაჭრილიყვნენ წინ, წარმატება არ ეწერა. თუმცა ჩვენი გუნდი ტაიმის მიწურულამდე მდევრის როლში იყო და მხოლოდ ბოლო წამზე ჩხეიძის სამქულიანმა სროლამ დააწინაურა მასპინძლები — 30:28.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა (ნაცადი ხერხით) პირველი შეტევით წარმართეს, რამაც მათ დიდი უპირატესობა მოუტანა. სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეთა სწრაფ გარღვევებს, სადაც გამოირჩეოდნენ ჩხეიძე, სტეფანია, სანაძე და დერიუგინი. ქულათა ლომის წილიც მათზე მოდის...

შემდეგ მატჩს საქართველოს ნაკრები გამართავს ისრაელის გუნდთან 12 ნოემბერს.

## პოპულარული კაცი ფედერაციაში

ქ. თბილისის ვიცე-მერი, პარლამენტის წევრი, თბილისის ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ბაშალეიშვილი არჩეულია თბილისის ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარედ.

## „ლელოს“ პრიზი — მეხუთედ

დღევანდელ კრიზისულ ვითარებაში, რასაც ჩვენი სპორტი განიცდის, დიდ „სიცოცხლისუნარიანობას“ ავლენს სპორტის დედოფალი. იგი არც ჩვენი გაზეთის V ტრადიციულ — რესპუბლიკურ გათამაშებაზე მოსულა ხელცარიელი — მონაწილეებმა რამდენიმე საგულისხმო შედეგი აჩვენეს. აღსანიშნავია ბათუმელი სპრინტერის რუსლან რუსიძის გამარჯვება 100მ. რბენაში — 10.5 წამი. მეორე იყო საგარეჯოელი დათო ნიკოლაიშვილი (11,3), მესამე — თბილისელი ბადრი ბადრიძე (11,4). ამ სამეულმა 200 მეტრზეც ასეთივე თანმიმდევრობით გადაჭეთა ფინიში — შესაბამისად 21,8; 23,4; 23,5. ქალთა ორივე სპრინტერულ მანძილებზე იმარჯვა თბილისელმა ირინე ძებისაშვილმა — 11,5 და 25,9. სიმაღლეზე ხტომაში თვრამეტი წლის გრიგოლ მდივანმა თავის საუკეთესო შედეგს გადაჭარბა და 197 სმ-ით დამამთავრა ასპარეზობა. მას წარმატება პირველმა მწვრთნელმა, და მისმა მამამ, თემურ მდივანმა მიულოცა.

დაბოლოს ვანელი გოგონების შესახებ:

**მილოცვა**

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ვეტერან ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გაიოზ ჯეჯელავას.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

## ასეთი თამაშით ბევრჯერ გავიხარებთ

**11 ოქტომბერი. თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.**
**საქართველოს ნაკრები — ბულგარეთის ნაკრები 2-1 (1-0)**
**საქართველო: ზოიძე, ღუდუშაური (ბერაძე, 84 წ.), კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარიული (კილასონია, 78), ა. არველაძე (უველაშვილი, 46), ქინქლაძე, შ. არველაძე.**
**ბულგარეთი: მიხაილოვი, კირიაკოვი, ივანოვი (ჩომაკოვი, 60), ცვეტანოვი, იანკოვი, კოსტადინოვი, სირაკოვი (ბორიმიროვი), სტოიჩკოვი, პენევი, მალაკოვი, ლეჩკოვი.**
**მსაჯები: მაიერი, პოპოვიჩი, ფელდერი (უველა — შვეიცარია).**
**გოლები: შ. არველაძე — 1, ქინქლაძე — 48, სტოიჩკოვი — 88.**
**გააფრთხილეს: ნემსაძე, გოგიჩაიშვილი, მიხაილოვი, ღუდუშაური.**

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმრების მწვრთნელმა დემეტრ პენევმა იმით ახსნა დამარცხება, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდაო. გავბედავთ და ვიტყვით, რაც სულაც არ იქნება გადამეტებული, რომ ამ დღეს ქართველი ფეხბურთელების მონდომებას და მიზანსწრაფვას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, თანაც წამყვანი მოთამაშეები მათაც აკლდათ.

ასე ერთიანად გამარჯვებისთვის შემართული ჩვენი გუნდის თამაშმა ყველას ქართული ფეხბურთის ის ოქროს ხანა გაახსენა, როცა იგი საერთაშორისო სარბიელზე ტოლს არ უდებდა აღიარებულ გრანდებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ დღეს საქართველოს ნაკრებს საქმე ჰქონდა მსოფლიო ელიტის ერთ-ერთ წარმომადგენლებთან, რომელთა შორის თანამედროვეობის არაერთი ფეხბურთის ვარსკვლავი იყო თვით ხრისტო სტოიჩკოვის თავკაცობით. მაგრამ მასპინძლების თავგვამოდებულმა თამაშმა ვარსკვლავთა ბრწყინვალება აშკარად გააფერმკრთალა.

ეს გამარჯვება იმითაც არის დასამახსოვრებელი, რომ იგი მოპოვებულია ისეთ ძლიერ მეტოქესთან, რომელსაც განაღდებული აქვს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური და არა გვგონია, რომ მან მერმის ინგლისში თავისი სიტყვა არა თქვას კონტინენტის უძლიერეს გუნდებთან შეხვედრებში. სხვათა შორის, იმავ პენევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატის შემადგენლობა არაფრით ჩამოუვარდება ბოლო მსოფლიო ჩემპიონატისას და ვეცდებით შინ თავაწეულები დავბრუნდეთო...

| | VII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბულგარეთი | | 3-2 | 2-0<br>1-2 | 1-1<br>3-0 | 3-0<br>3-1 | 4-1<br>3-0 | 23-7 | 22 |
| 2 | გერმანია | 2-3 | | 2-0<br>4-1 | 2-1<br>2-1 | 1-1<br>2-1 | 3-0<br>6-1 | 24-9 | 22 |
| 3 | საქართველო | 0-2<br>2-1 | 0-2<br>1-4 | | 1-0<br>2-0 | 5-0<br>1-0 | 0-1 | 12-10 | 15 |
| 4 | ალბანეთი | 1-1<br>0-3 | 1-2<br>1-2 | 0-1<br>0-2 | | 0-2 | 3-0<br>3-2 | 9-15 | 7 |
| 5 | უელსი | 0-3<br>1-3 | 1-1<br>1-2 | 0-5<br>0-1 | 2-0 | | 2-3<br>1-0 | 8-18 | 7 |
| 6 | მოლდოვა | 1-4<br>0-3 | 0-3<br>1-6 | 1-0 | 0-3<br>2-3 | 3-2<br>0-1 | | 8-25 | 6 |

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ თითო შეხვედრა (ზოგმა უკვე დამთავრა კიდეც ასპარეზობა). VII ჯგუფში ფაქტობრივად ყველაფერი გარკვეულია. ფინალის საგზურები უკვე განაღდებული აქვთ ბულგარეთისა და გერმანიის წარმომადგენლებს. გასარკვევია ერთი რამ: რომელი გუნდი გავა პირველ და რომელი მეორე ადგილზე. ამ კითხვაზე პასუხს ფეხბურთის გულშემატკივრები მიიღებენ 15 ნოემბრის მატჩში, როცა გერმანია ბულგარეთის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს.

საქართველოს გუნდმა ბოლო შედეგის მიუხედავად უკვე გაინაღდა III ადგილი ჯგუფში, რაც, დაგვეთანხმებით ალბათ, დიდი წარმატებაა.

გთავაზობთ რამდენიმე ცნობას VII ჯგუფზე.

### ყველა გატანილი გოლი

ბულგარეთი — 23. სტოიჩკოვი — 9, კოსტადინოვი — 7, ბალაკოვი — 3, პენევი — 2, ივანოვი — 1, ლეჩკოვი — 1.

გერმანია — 24. კლინსმანი — 7, კირსტენი — 3, მიოლერი — 3, მათეუსი — 2, ზამერი — 2, ჰერლიხი — 1, შტრუნცი — 1, ციგე — 1, ბაბელი — 1, ჰელმერი — 1, კუნცი — 1, სტროენკო (მოლდოვა) — 1 საკუთარ კარში.

საქართველო — 12. ქეცბაია — 4, შ. არველაძე — 4, ქინქლაძე — 3, გოგრიჭიანი — 1.

ალბანეთი — 9. კუშტა — 3, რაკლი — 2, ზმიანი — 1, კაცაი — 1, ბელაი — 1, ვატა — 1.

უელსი — 8. სანდერსი — 2, სპიდი — 2, კოულმენი — 1, გიგსი — 1, ბლეიკი — 1, სიმონსი — 1.

მოლდოვა — 8. კლეშჩენკო — 2, ოპრია — 1, ამელოუსი — 1, სეკუ — 1, პოგორელოვი — 1, კურტიანუ — 1, რებეია — 1.


იხ. მე-3 გვ


იმერეთის ამ მშვენიერ კუთხეში კარგი სტაიერი გოგონები იზრდებიან ვალერი როხვაძის ხელმძღვანელობით. 800 მეტრზე თავი ისახელა 15 წლის ქეთევან აბრამიძემ — 2.26. შემდეგ მან 1500 მეტრზეც გაიმარჯვა — 5.11. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ მეგობრები თეა მოდებაძე — 5.26 და ქეთევან დვალიშვილი — 5.39. 3000 მეტრზე რბენაში კი მხოლოდ ორად ორი ვანელი — მოდებაძე და დვალიშვილი იბრძოდნენ, გამარჯვება პირველს დარჩა (11:33).

როგორც ხედავთ, სტაიერთა ცენტრმა ახალქალაქიდან იმერეთში გადანაცვლა.

სურათზე: რუსლან რუსიძე 200 მეტრზე ფინალური გარბენის ფინიშთან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## კასპაროვმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაღდი მსოფლიო ჩემპიონია

მატჩი მსოფლიო პირველობაზე პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით გარი კასპაროვსა (რუსეთი) და ვიშვანათან ანანდს (ინდოეთი) შორის თითქოს ორ ნაწილად დაიყო. პირველ ნახევარში ყველა 8 პარტია ყაიმით დასრულდა, რითაც მსოფლიო ჩემპიონატების თავისებური რეკორდი დამყარდა, მეორეში კი სულ სხვაგვარი ბრძოლა გაჩაღდა. ყაიმების შეთავაზება აქაც საკმაოდ იყო, რასაც უარი მოსდევდა ხოლმე. ასე რომ, გამართლდა კასპაროვის პროგნოზი, რომელიც მწვავე შეხლა-შემოხლას სწორედ მატჩის მესამე კვირიდან ელოდა.

საინტერესოა, რომ გარდატეხა იმ მომენტიდან დადგა, როცა პირველი გამარჯვება პრეტენდენტმა მოიპოვა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მსოფლიო ჩემპიონი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, მერე კი ყველა მომდევნო პრესკონფერენციაზე არ ცხადდებოდა... ანანდი! ინდოელ დიდოსტატს საქმე ძალიან ცუდად წაუვიდა და მატჩიც „ცალ კარში“ თამაშს დაემსგავსა. ორთაბრძოლის ბედი ფაქტობრივად IX-XIV პარტიებში გადაწყდა. კასპაროვმა დამარცხებას ელვისებური რევანშით უპასუხა, აქ ძალზე დიდი როლი შეასრულა არა უშუალოდ დაფაზე თამაშმა, არამედ ადრე მომზადებულმა „ნაღმმა“, რომელიც მაინცდამაინც კასპაროვისთვის საჭირო დროს აფეთქდა. ეს X პარტია თუნდაც იმით შევა ჭადრაკის ისტორიაში, რომ ერთ მომენტში ანანდს მოფიქრებისთვის დახარჯა 2 საათი, ჩემპიონს კი ... 6 წუთი! აი, რას ნიშნავს საშინაო მომზადება, მეორე მხრივ კი, თუ გნებავთ, იღბალი. და განა მართლა იღბალი არ უნდოდა იმას, რომ ანანდს მაინცდამაინც ამ შეხვედრაში მოუნდა ადრე გამოცდილი სქემის გამეორება?

რა თქმა უნდა, არავის გაკვირვებია, როცა ჩემპიონმა ლიდერობა ჩაიგდო ხელთ, მაგრამ ანანდს შემდგომში თანდათან დაეკარგა ბრძოლის ხალისი. ფორმალურად მას თამაშზე უარი არ უთქვამს, არც ყაიმებზე დათანხმება უნდოდა, მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა იმ აუცილებელი რწმენის გარეშე, ურომლისოდაც ლაპარაკი რაიმე წარმატებაზე საერთოდ შეუძლებელია. ორთაბრძოლის ბედი საბოლოოდ მაინც მე-14 პარტიამ გადაწყვიტა. მოვუსმინოთ თვით მსოფლიო ჩემპიონს.

კასპაროვი: მე გამოცა დებიუტმა, რომელიც ამ შეხვედრაში ანანდმა შემომთავაზა (სკანდინავიურმა დებიუტმა, რომელიც არავის გამოუყენებია მსოფლიო პირველობის არც ერთ მატჩში). მე ვვარაუდობდი, რომ რიგი პარტიების წაგების შემდეგ ანანდი რაიმე ახალს გამოიყენებდა, მაგრამ არ მეგონა თუ ასე შორს წავიდოდა. მოულოდნელობისაგან დებიუტში უცნაური შეცდომა მომივიდა, როცა გამოვფხიზლდი, დაახლოებით 12 სვლის შემდეგ, მივხვდი, რომ თეთრებით უსიამოვნო პოზიცია მივიღე და მეტოქეს ყაიმი შევთავაზე. იგი ვალდებული იყო თამაში გაეგრძელებინა, რახან უკეთესი პოზიცია ჰქონდა, გააგრძელა კიდეც, მაგრამ შემდეგ შეფერხდა. როცა მხედარი შევწირე, უნდა მიეღო ეს შეწირვა, ეს არ გააკეთა და უარესი პოზიცია მიიღო. მე მივხვდი, რომ იგი ფსიქოლოგიურად გატყდა, ვერ გაუძლო დაძაბუ-


იხ. მე-4 გვ.

### რუდოლფ ზაგაინოვი:

# სპორტსმენს მისი ცხოვრების მძიმე პერიოდში ვჭირდები მხოლოდ

**იგი სხვის წარმატებას აღიქვამს როგორც თავისას. არადა, გამარჯვების წუთებში სპორტსმენს უმეტესწილად მწვრთნელიც კი არ ახლავს. ის კი ფსიქოლოგია, პროფესორი, და როგორც ხშირად განუცხადებია, ადამიანს სჭირდება მაშინ, როცა მას უჭირს. სამწუხაროდ, ასეთი პროფესია აქვს. თუმცა, რუდოლფ ზაგაინოვი ამას არ განიცდის.**

რუდოლფ ზაგაინოვი

**● თქვენს კონტრაქტში მუდამ ხაზგასმულია, რომ ჟურნალისტთან ურთიერთობას უნდა ერიდოთ. ხომ არ მოიხსნა ეს აკრძალვა?**

— გააჩნია რა აინტერესებს ჟურნალისტს, როგორ პასუხს ელის ჩემგან.

**● აი, თუნდაც თქვენი მუშაობის შესახებ ბორის ბეკერთან, შტეფი გრაფთან ან მონიკა სელეშთან?**

— ოფიციალური კონტრაქტები ამ სპორტსმენებთან არა მქონია. ერთხანს ხელშეკრულება გავაფორმე დიუსელდორფის „როხუს-კლუბთან“, რომლის ღირსებას იცავდნენ მეორეხარისხოვანი ჩოგბურთელები — ხორასიო დე ლა პენა და ედუარდო ბენკოეჩეა. თქვენს მიერ დასახელებულ ჩოგბურთელებს კი ხანმოკლე კონსულტაციას ვუწევდი ერთ-ერთი უიმბლდონის ტურნირის წინ. მაგრამ ამის შესახებ საუბარი ჩოგბურთელთა თანხმობის გარეშე, არაეთიკური საქციელი იქნებოდა. თანაც, ამას ვერც ერთობლივ მუშაობას ვუწოდებ. უბრალოდ, ჩვენ გვქონდა ხანგრძლივი საუბრები სასტუმროში, როცა გარეთ წვიმდა და შენობაში უამრავი პოლიციელი „დასეირნობდა“.

**● პოლიციელები რა შუაში იყვნენ?**

— როგორ ფიქრობთ, გრაფი ან სელეში რომ მოეტაცათ, რამდენ გამოსასყიდს მოითხოვდნენ ტერორისტები?

**● ალბათ ბევრს. თქვენ იმ წელს მალე დაბრუნდით სამშობლოში. რატომ?**

— საკუთარი ფირმის გახსნას ვაპირებდი და მოსკოვში ყოფნა აუცილებელიაო — მითხრეს. საჭირო იყო საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა. სხვა ამას უჩემოდ ვერ შეძლებდა. ამიტომაც შევამცირე საზღვარგარეთ ყოფნის ვადა. მაგრამ ეს ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდა. მე წესრიგის მოყვარული კაცი ვარ, არ მიყვარს თვითმოქმედება.

**● საკუთარი ფირმის გახსნა ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ სპორტთან წყვეტდით კავშირს?**

— იცით რაშია საქმე? ბოლო დროს იმ დასკვნამდე მივედი, რომ სპორტული ფსიქოლოგია, როგორც მყარი მეცნიერება, არ არსებობს. იგი უფრო ხელოვნურია, ამიტომაც თითიდან გამოწოვილი. მე პრაქტიკოსი კაცი ვარ და კარგად ვიცი, რაც სახელმძღვანელოებში სწერია, სინამდვილეში არ არის სწორი.

**● ესე იგი, იმის თქმა გინდათ, რომ რასაც აქამდე აკეთებდით, თურმე არავის სჭირდება?**

— საქმე მარტო ეს არ გახლავთ. ერთხელ სპასკიმ მითხრა: „თქვენ ვალდებული ხართ სულიერი მეძავი იყოთ“. უნდა ვაღიარო, რომ სპასკი, ამ შემთხვევაში, მართალი იყო. ფსიქოლოგის ამოცანა ხომ ის არის, რომ შეავსოს სპორტსმენი, მისი თავისებური დანამატი გახდეს საკუთარი თავმოყვარეობის შელახვის ხარჯზე? ფსიქოლოგი სასარგებლო უნდა იყოს სპორტსმენისთვის ნებისმიერ სიტუაციაში. ეს კი, მოგეხსენებათ, არ არის იოლი — იყო მოძღვარი, მორჩილად უსმენდე სპორტსმენის აღსარებას და ამავე დროს მოუწოდო მას გამარჯვებისკენ.

**● უსათუოდ გამარჯვებისკენ?**

— მაშ როგორ? ჩემი კრედოს თანახმად მარცხი ტრაგედიაა. სწორედ ასე აღიქვამდნენ დამარცხებას სერგეი ბუბკა, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, ვისთანაც მიხდებოდა მუშაობა. დამარცხების შიში თავისთავად შეიძლება იყოს ძლიერი მოტივაცია. თავად ვყოფილვარ მოწმე, როცა გულდასაწყვეტი მარცხის შემდეგ ერთ ღამეში სასწაულებრივი ტრანსფორმაცია მომხდარა და სპორტსმენი რევანშის წყურვილით ანთებულა. მაგრამ ბოლო დროს სპორტი შეიცვალა, ადამიანი მარცხისადმი გულგრილი გახდა. მას ახლა მხოლოდ შემოსავალი აინტერესებს.

**● კონკრეტულად რომელიმე ქვეყნის სპორტსმენებს გულისხმობთ?**

— არა, ეს საყოველთაო სენია. ერთ საკმაოდ ცნობილ ჩოგბურთელთან ვმუშაობდი. გვარს, სამწუხაროდ, ვერ ვასახელებ, ვინაიდან ეს პუნქტი კონტრაქტით გვქონდა გათვალისწინებული. ყოველმხრივ მოვამზადე იგი, განვაწყვე გამარჯვებისთვის. პირველი სეტი ბრწყინვალედ ჩაატარა, მერე მაყურებლისთვის დაიწყო თამაში და ბოლომდე არც მიიყვანა პარტია — ჩოგანი გადააგდო. მაშინ მივხვდი, რომ თანამედროვე სამყაროს თავისი იდეალები, თავისი კანონები აქვს. ამ სამყაროში სპორტი ატრაქციონი გახდა, იმიტომ, რომ იგი არსებობს სპონსორების ხარჯზე, რომლებსაც სრულებით არ აინტერესებთ მავანის დამარცხება ან გამარჯვება. ამ სამყაროში მხოლოდ რეკლამასა და სარგებელზე ფიქრობენ. ჩემთვის კი მთავარი გამარჯვებაა, დაფინანსებული იქნება ის, თუ არა.

**● მაშინ აგვიხსენით, რატომ თქვით უარი რუსეთის ფრენბურთელთა ნაკრებთან მუშაობაზე და რატომ მოაწერეთ ხელი კონტრაქტს ესპანეთის მოჰადრაკეთა კლუბთან?**

— გული უნდა გაგიტეხოთ და გითხრათ, რომ ფული არაფერ შუაში იყო. გუნდთან მუშაობა ძალზე ძნელია, ვინაიდან ყოველი მათგანი ოცამდე ინდივიდისაგან შედგება. მე სულ მათთან ერთად უნდა ვყოფილიყავი შეკრებაზეც, შეჯიბრების დროსაც. თანაც ორმაგი ცხოვრებით უნდა მეცხოვრა. არადა, საშინლად დავიღალე...

**● ანატოლი კარპოვის გუნდში რომ მუშაობდით? ჰადრაკში ხომ გაცილებით დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაა, ვიდრე სპორტის ნებისმიერ სხვა სახეობაში?**

— მიზიდავდა კარპოვის პიროვნება. მას აქვს თვისებები, რომელთა გამომუშავებას სხვებთან წლები დასჭირდებოდა. გარდა ამისა, მიზიდავდა ჩვენი ერთობლივი მუშაობის მიზანიც — კასპაროვის დამარცხება. ეს, ამავე დროს, საზოგადოებრივი აზრის გამოწვევაც იყო, ვინაიდან მას კასპაროვი დაუმარცხებელ მოჰადრაკედ მიაჩნია.

**● თუ არ ვცდებით, თქვენი „სპორტული კარიერა“ კარპოვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. მაშინ ვიქტორ კორჩნოის ეხმარებოდით.**

— დიახ, 1974 წელს კორჩნოის პირადი ფსიქოლოგი ვიყავი. და, მართალი გითხრათ, კარპოვს მაშინ არ ვცემდი პატივს იმიტომ, რომ მის უკან იდგა კომუნისტური პარტიის ვეებერთელა მანქანა. კორჩნოი კი მარტო იყო. ამასთან ჩვენ ბევრ რამეში სოლიდარობას ვიჩენდით. მაგრამ ჩემი უბედურება ის გახლავთ, რომ სპორტსმენს მისი ცხოვრების მძიმე პერიოდში ვჭირდები მხოლოდ. როცა ყველაფერი კარგადაა — მე თამაშგარე მდგომარეობაში ვიმყოფები.

**● მერე, როგორი ურთიერთობა გქონდათ კორჩნოისთან?**

— სამწუხაროდ, ცუდი. ერთხელ ოთხი დღე გავატარეთ ერთად ესპანეთში. ბევრს ვბაასობდით, კორჩნოიმ უამრავი რამ მომიყვა თავის ძნელ ცხოვრებაზე. ამ საუბრის შემდეგ გადავწყვიტე წერილი დამეწერა. ვიქტორი დამთანხმდა, ინტერვიუს დაბეჭდვაზე ისე, რომ არც წაუკითხავს მასალა. წერილი დაიბეჭდა იუგოსლავიის „პოლიტიკა-ექსპრესში“ და წლის ბოლოს საუკეთესო მასალად აღიარეს. ინტერვიუ თითქმის ყველა უცხოურმა გაზეთმა გადაბეჭდა. კორჩნოის რაღაც არ მოეწონა თავის პასუხებში და ჩვენი ურთიერთობა გაფუჭდა.

**● ლიონში თქვენმა ჩასვლამ კარპოვ-კასპაროვის მატჩზე ეს უკანასკნელი წონასწორობიდან გამოიყვანა. ერთ-ერთ ინტერვიუში კასპაროვმა ისიც კი თქვა, რომ ექსჩემპიონის ბანაკში ყოფნა თქვენი ბიოგრაფიის შავი ლაქა იქნებაო. იყო თუ არა რაიმე არსებითი ამ სიტყვებში?**

— იყო დრო, როცა მე და კასპაროვი ერთად ვმუშაობდით, მცირე ხნით, მაგრამ ერთად ვიყავით. კასპაროვი მძიმე პიროვნებაა, თანაც გარე სამყაროსთან სპეციფიკური დამოკიდებულებით გამოირჩევა. რაც შეეხება „ბიოგრაფიის შავ ლაქას“, ეს სულ არ მაწუხებს, ვინაიდან პარტნიორს სამუშაოდ მე თვითონ ვირჩევ ხოლმე.

**● ვინ იყო თქვენს პრაქტიკაში ყველაზე ჭირვეული „პაციენტი“?**

— ალბათ სერგეი ბუბკა. მის ბევრ შეხვედრას დღესაც არ ვიზიარებ. მაგრამ ეს კეთილ ურთიერთობაში ხელს ოდი გვიშლის. სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ სპორტსმენი კარნახობს თავის ნებას. მწვრთნელი უკვე აღარაა წამყვანი ფიგურა.

**● მიგაჩნიათ, რომ ამ ურთიერთობაში პრიორიტეტი მწვრთნელს ეკუთვნის?**

— რა თქმა უნდა. შემიძლია უამრავი მაგალითი მოვიყვანო, როცა სპორტსმენი მწვრთნელმა გამოძერწა თავისი ხელით, მოთმინებით, რუდუნებით.

**● როდესმე თუ ყოფილხართ უიმედოდ?**

— ოპტიმისტი ვარ და რახან ვკიდებ ხელს საქმეს, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მას უსათუოდ ბოლომდე მივიყვან.

## ნბა-ს ამბები

გახსოვთ ალბათ, რომ შარშანდელი საკალათბურთო დრაფტის პრემიერი გლენ რობინსონი იყო, რომელმაც ხელი მოაწერა 10-წლიან კონტრაქტს 68,15 მილიონ დოლარზე. ეს გარიგება ნბა-ს სტატისტიკოსებმა უმალ პროფესიული კალათბურთის რეკორდების წიგნში შეიტანეს.

წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი გახლავთ ჯო სმითი, რომელმაც ხელი მოაწერა „გოლდენ სტეიტ უორიორზთან“ კონტრაქტს და სამწლიან გარიგებაში 8,53 მილიონი დოლარი მიიღო, რაც, რა თქმა უნდა, შორსაა რობინსონს რეკორდისაგან.

წლევანდელ დებიუტანტთაგან შეიძლება გამოყოფდნენ, ანტონიო მაკდაისს („დენვერი“) და ჯერ სტეჰაუზისა („ფილადელფია“). პირველმა სამწლიან კონტრაქტში 7,6 მილიონი დოლარი მიიღო, მეორემ ასევე სამწლიანში — 6,855 მილიონი.

და კიდევ ერთი ინფორმაცია. შარშანდელი სეზონის „საუკეთესო მეექვსე მოთამაშემ“ ენტონი მეისონმა განაახლა კონტრაქტი თავის კლუბთან — „ნიუ-იორკთან“ 5 წლის ვადით და ამაში 20 მილიონი დოლარი მიიღო.

## ამათ რა უჭირთ

**პროფესიულ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გამოაქვეყნა უძლიერესთა ათეულები შემოსავლის მიხედვით. ცნობები მოცემულია მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის.**

**ვაჟები:**

ა. აგასი (აშშ) 2.279.741 დოლარი
პ. სამპრასი (აშშ) 2.170.666
თ. მუსტერი (ავსტრია) 2.087.129
ე. კაფელნიკოვი (რუსეთი) 1.193.061
ბ.ბეკერი (გერმანია) 1.092.158
მ. ჩანგი (აშშ) 971. 140
გ. ივანიშევიჩი (ხორვატ.) 943.382
რ.კრაიჩეკი (ჰოლანდია) 777.702
ჯ. კურიე (აშშ) 775. 262
მ. შტიხი (გერმანია) 770. 407

**ქალები:**

შ.გრაფი (გერმანია) 1.888.050
ა. სანჩესი (ესპანეთი) 1.326.256
ჯ. მარტინესი (ესპანეთი) 1. 071. 318
ნ. ზვერევა (ბელარუსი) 651. 262
ი. ნოვოტნა (ჩეხია) 634. 991
მ. პიერსი (საფრანგეთი) 584. 718
გ. საბატინი (არგენტინა) 574. 108
კ. დატე (იაპონია) 542. 113
ჯ. ფერნანდესი (აშშ) 495. 773
მ. სელეში (აშშ) 397. 010

## ბრძოლას განაგრძობენ...

გაიმართა კალათბურთში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მეორე წრის განმეორებითი მატჩები. თბილისის „ვითას“ მძლეველი პირველ რაუნდში, კაუნასის „ჟალგირისი“, საბერძნეთის „პანათინაიკოსს“ შეხვდა. ლიტველმა კალათბურთელებმა წააგეს ორივე მატჩი მეტოქესთან, შინ ანგარიშით 56:59, სტუმრად — 66:86.

ორი შეხვედრის ჯამში, გათამაშების მომდევნო რაუნდში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: „ბაკლერმა“ (იტალია), „შაკაბიმ“ (თელ-ავივი, ისრაელი), „ციბონამ“ (ხორვატია). „ბენეტონმა“ (იტალია), „ულკერ გენჩლიკმა“ (თურქეთი), „რეალმა“ (ესპანეთი), „ირაკლისმა“ (საბერძნეთი), „ბაიერმა“ (გერმანია), „უნიკახამ“ (ესპანეთი), „ბენფიკამ“ (პორტუგალია), „პო ორტეზმა“ (საფრანგეთი). ამ ეტაპზე კაუნასის „ჟალგირისის“ გარდა, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების გუნდებიდან გათამაშებას გამოეთიშნენ: ესტონეთის „კალევი“ და უკრაინის „ბუდიველნიკი“.

## ბანკეტი 800-კაცზე

პროფესიონალ ჭილოსიპედისტთა შორის მსოფლიო კლასიფიკაციის პირველმა ნომერმა ფრანგმა ლორან ჟალბერმა გამოაცხადა თავისი პროგრამა უახლოესი პერიოდისათვის. ოქტომბერში იგი დაესწრება „ტურ დე ფრანსის“ პრეზენტაციას. მერე გაემგზავრება ესპანეთში და მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე კრიტერიუმში, აგრეთვე, ხელს მოაწერს ოთხწლიან კონტრაქტზე თავის გუნდთან - „ონსესთან“.

ოქტომბრის მიწურულს ჟალბერი ჩავატუნისში და ფრედერიკ მონკასენთან ერთად ასპარეზებს „მაუნტინბაიკში“ (სამთო ჭილოსპორტი). მერე ჟალბერი უნდა დაესწროს გრანდიოზულ ბანკეტს, რომელსაც ტრადიციულად მართავს მისი ბიძაწარსული ცნობილი ჭილოსიპედისტი ჟან-ფრანსუა ჟალბერი (ამ ბანკეტზე სულ ცოტა 800 სტუმარია მოპატიჟებული). იანვრის დასაწყისში ჭილოსიპედისტი გაივლის მომზადების სპეციალურ ციკლს (მძლეოსნური კროსები, ტრესაჟორები, ცურვა) და მონაწილეობას მიიღებს უმნიშვნელო შეჯიბრებებში.

## ხუთი რგოლის ბარშემო

რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ვიტალი სმირნოვის განცხადებით დამოუკიდებლად იმისგან, მიიღებს თუ არა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მოწყობის უფლებას, სანკტ-პეტერბურგში აშენდება ეფლოდრომი, რომელსაც კისრულობს ერთ-ერთი ფრანგული სამშენებლო ფირმა (ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობდა ლა-მანშის გვირაბის გათხრაში).

7 ნოემბერს საფრანგეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს რომელ ქალაქს დაამტკიცებს 2004 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატად — ლილს თუ ლიონს. მანამდე კი შეიქმნა კომისია, რომელიც დეტალურად სწავლობს კანდიდატთა შესაძლებლობებს.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1994 წლის ოლიმპიური თასი მიანიჭა „ქალაქ ლილეჰამერს, ნორვეგიელ ხალხსა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, აგრეთვე საფრანგეთის სპორტის კომიტეტს“. ლილეჰამერს, ხალხსა და ნორვეგიის ოლიმპიურ კომიტეტს ჯილდო მიენიჭათ ზამთრის ოლიმპიური თამაშების უმაღლეს დონეზე ჩატარებისთვის, საფრანგეთის სპორტის კომიტეტს კი თანამედროვე ოლიმპიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონგრესის ბრწყინვალედ ორგანიზაციისათვის.

ატლანტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბილ პეინმა შესაძრნევად შეამცირა შტატიანი დამხმარე პერსონალის რაოდენობა. პეინმა აღნიშნა, რომ საესებით საკმარისია საორგანიზაციო კომიტეტის მუდმივ თანამშრომელთა 2-ათასკაციანი გუნდისა და 40 ათასამდე მოხალისის დახმარება.

## რა ხდება ქვეყანაზე

● **მსოფლიოს 1987 წლისა და სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში, 39 წლის ამერიკელი ლერი მირიქსი და მისი 24 წლის კოლეგა ტრინიტი ჯონსონი ვერ გამოვლენ მძლეოსანთა შესარჩევ შეჯიბრებაში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო აშშ-ს მძლეოსნობის ფედერაციამ. საქმე კი ის გახლავთ, რომ ორივე სპორტსმენი დისკვალიფიცირებულია 1998 წლამდე, ვინაიდან ერთ-ერთი შეჯიბრების შემდეგ უარი თქვეს დოპინგკონტროლის გავლაზე.**

**ფრანგული გაზეთ „ეკიპის“ ცნობით მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ჭოკოთ ხტომაში სერგეი ბუბკამ სეზონი დამთავრა მავრიკიაში (აქ მან მოიგო ტურნირი შედეგით 5 მ. 80 სმ). ახლა იგი დაისვენებს მონაკოში, შვილები კი სწავლას გააგრძელებენ ნიცის ამერიკულ სკოლაში.**

● **მსოფლიო რეკორდსმენი 110 მეტრზე თარჯრბენში, ინგლისელი კოლინ ჯეკსონი გოისად მონაწილეობას არ მიიღებს ბრიტანეთში გამართულ არც ერთ შეჯიბრებაში გარდა ეროვნული ჩემპიონატისა, რომელშიც უნდა გათამაშდეს ატლანტის ოლიმპიური თამაშების საგზურები. მიზეზი გახლავთ კონფლიქტი დიდი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციასთან. კოლინი ამ გადაწყვეტილებასა არ შეცვლის ვიდრე ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე პიტერ რედფორდი იქნება.**

● **„ევროპის ბრან-პრის“ გათამაშებაში ტრავმა მიიღო „უილიამს-რენოს“ პილოტმა დემონ ჰილმა, რომელიც წლევანდელ „ფორმულა-1“-ში ჩერჩერობით II ადგილზეა მიჰაელ შუმახერის შემდეგ. ექიმების განცხადებით, ტრავმა ერთობ უსიამოვნოა, რომელმაც შეიძლება ერთგვარად შეაფერხოს ავტომობილისტის მონაწილეობა შეჯიბრებაში. თვითონ ჰილი კი არ კარგავს იმედს, რომ გამოვა წლევანდელი „ფორმულის“ ბოლო სამ ეტაპზე.**

## რა ხდება ქვეყანაზე

# «ლელო» — გულშემატკივრებს!

## აი, როგორი მდგომარეობაა ჯგუფებში ბოლო ტურის წინ

| | I ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუმინეთი | | 0-0<br>1-3 | 3-2 | 2-1<br>0-0 | 1-1<br>2-1 | 3-0<br>4-1 | 16-9 | 18 |
| 2 | საფრანგეთი | 0-0<br>3-1 | | 0-0<br>4-0 | 0-0<br>1-1 | 0-0 | 2-0<br>10-0 | 20-2 | 17 |
| 3 | სლოვაკეთი | 2-3 | 0-0<br>0-4 | | 0-5<br>4-1 | 2-2<br>1-0 | 4-1<br>1-0 | 14-16 | 14 |
| 4 | პოლონეთი | 1-2<br>0-0 | 0-0<br>1-1 | 5-0<br>1-4 | | 1-2<br>4-3 | 1-0 | 14-12 | 12 |
| 5 | ისრაელი | 1-1<br>1-2 | 0-0 | 2-2<br>0-1 | 2-1<br>3-4 | | 2-0<br>2-0 | 13-11 | 12 |
| 6 | აზერბაიჯანი | 0-3<br>1-4 | 0-2<br>0-10 | 1-4<br>0-1 | 0-1 | 0-2<br>0-2 | | 2-29 | 0 |

| | II ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | 3-0<br>1-1 | 4-1<br>1-1 | 2-0 | 2-1<br>6-0 | 2-0<br>1-0 | 22-4 | 23 |
| 2 | დანია | 0-3<br>1-1 | | 3-1<br>3-1 | 1-1<br>1-0 | 1-1<br>4-0 | 2-0 | 16-8 | 18 |
| 3 | ბელგია | 1-4<br>1-1 | 1-3<br>1-3 | | 1-1<br>5-0 | 2-0 | 2-0<br>2-0 | 16-12 | 14 |
| 4 | მაკედონია | 0-2 | 1-1<br>0-1 | 1-1<br>0-5 | | 3-0<br>1-1 | 2-2<br>1-2 | 9-15 | 7 |
| 5 | კვიპროსი | 1-2<br>0-6 | 1-1<br>0-4 | 0-2 | 0-3<br>1-1 | | 0-0<br>2-0 | 5-19 | 6 |
| 6 | სომხეთი | 0-2<br>0-1 | 0-2 | 0-2<br>0-2 | 2-2<br>2-1 | 0-0<br>0-2 | | 4-14 | 5 |

| | III ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | | 2-1<br>1-2 | 4-2<br>0-0 | 2-2<br>3-0 | 1-0<br>2-0 | 15-7 | 17 |
| 2 | თურქეთი | 1-2<br>2-1 | | 2-1 | 2-2<br>2-0 | 5-0<br>0-0 | 14-6 | 14 |
| 3 | შვეცია | 2-4<br>0-0 | 1-2 | | 2-0<br>0-1 | 1-0<br>1-1 | 7-8 | 8 |
| 4 | უნგრეთი | 2-2<br>0-3 | 2-2<br>0-2 | 0-2<br>1-0 | | 1-2 | 6-13 | 5 |
| 5 | ისლანდია | 0-1<br>0-2 | 0-5<br>0-0 | 0-1<br>1-1 | 2-1 | | 3-11 | 5 |

| | IV ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხორვატია | | 2-1<br>1-1 | 2-0<br>0-0 | 4-0 | 2-0<br>0-1 | 2-0<br>7-1 | 20-4 | 20 |
| 2 | იტალია | 1-2<br>1-1 | | 1-0 | 2-0 | 1-1<br>1-0 | 2-0<br>4-1 | 13-5 | 17 |
| 3 | ლიტვა | 0-2<br>0-0 | 0-1 | | 2-0<br>1-3 | 2-1<br>2-1 | 1-0<br>5-0 | 13-8 | 16 |
| 4 | უკრაინა | 0-4<br>1-0 | 0-2 | 0-2<br>3-1 | | 0-0<br>2-3 | 3-0<br>1-0 | 10-12 | 13 |
| 5 | სლოვენია | 0-2 | 1-1<br>0-1 | 1-2<br>1-2 | 0-0<br>3-2 | | 3-0<br>3-1 | 12-11 | 11 |
| 6 | ესტონეთი | 0-2<br>1-7 | 0-2<br>1-4 | 0-1<br>0-5 | 0-3<br>0-1 | 0-3<br>1-3 | | 3-31 | 0 |

| | V ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნორვეგია | | 1-1<br>0-2 | 1-1 | 2-0<br>5-0 | 1-0<br>4-0 | 1-0<br>2-0 | 17-4 | 20 |
| 2 | ჩეხეთი | 1-1<br>2-0 | | 0-0<br>3-1 | 0-1 | 4-2<br>2-0 | 6-1<br>0-0 | 18-6 | 18 |
| 3 | ჰოლანდია | 1-1 | 0-0<br>1-3 | | 4-0<br>5-0 | 0-1<br>1-0 | 4-0<br>4-0 | 20-5 | 17 |
| 4 | ლუქსემბურგი | 0-2<br>0-5 | 1-0 | 0-4<br>0-5 | | 0-2<br>0-0 | 1-0<br>1-0 | 3-18 | 10 |
| 5 | ბელარუსი | 0-1<br>0-4 | 2-4<br>0-2 | 1-0<br>0-1 | 2-0<br>0-0 | | 1-1 | 6-13 | 8 |
| 6 | მალტა | 0-1<br>0-2 | 1-6<br>0-0 | 0-4<br>0-4 | 0-1<br>0-1 | 1-1 | | 2-20 | 2 |

| | VI ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუგალია | | 0-1 | 1-0<br>1-1 | 2-1<br>1-1 | 3-1<br>3-2 | 8-0<br>7-0 | 26-7 | 20 |
| 2 | ირლანდია | 1-0 | | 1-3<br>1-3 | 4-0<br>1-1 | 3-0<br>2-1 | 4-0<br>0-0 | 17-8 | 17 |
| 3 | ავსტრია | 0-1<br>1-1 | 3-1<br>3-1 | | 1-2 | 5-0<br>2-3 | 4-0<br>7-0 | 26-9 | 16 |
| 4 | ჩრდ. ირლანდია | 1-2<br>1-1 | 0-4<br>1-1 | 2-1 | | 1-0<br>1-2 | 4-1<br>4-0 | 15-12 | 14 |
| 5 | ლატვია | 1-3<br>2-3 | 0-3<br>1-2 | 0-5<br>3-2 | 0-1<br>2-1 | | 1-0<br>1-0 | 11-20 | 12 |
| 6 | ლიხტენ-შტეინი | 0-7<br>0-8 | 0-4<br>0-0 | 0-4<br>0-7 | 1-4<br>0-4 | 0-1<br>0-1 | | 1-40 | 1 |

| | VIII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსეთი | | 1-1<br>0-0 | 3-0<br>2-1 | 6-0 | 3-0<br>5-2 | 4-0<br>7-0 | 31-4 | 23 |
| 2 | შოტლანდია | 1-1<br>0-0 | | 0-1<br>1-0 | 2-0<br>1-0 | 5-1<br>2-0 | 2-0 | 14-3 | 20 |
| 3 | საბერძნეთი | 0-3<br>1-2 | 1-0<br>0-1 | | 4-0<br>1-2 | 5-1 | 2-0<br>4-0 | 18-9 | 15 |
| 4 | ფინეთი | 0-6 | 0-2<br>0-1 | 0-4<br>2-1 | | 5-0<br>4-0 | 4-1<br>2-0 | 17-15 | 15 |
| 5 | ფარერი | 0-3<br>2-5 | 1-5<br>0-2 | 1-5 | 0-5<br>0-4 | | 3-0<br>3-1 | 10-30 | 6 |
| 6 | სან-მარინო | 0-4<br>0-7 | 0-2 | 0-2<br>0-4 | 1-4<br>0-2 | 0-3<br>1-3 | | 2-31 | 0 |

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისა და ატლანტის ოლიმპიური თამაშების შერჩევითი ტურნირი ფეხბურთში

**საქართველოს ნაკრები — ბულგარეთის ნაკრები 1-2 (0-0)**

**10 ოქტომბერი. თბილისი. ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი.**

**საქართველოს ნაკრები:** ჯანელიძე, რეხვიაშვილი, ზ. ჭელაძე, დიდავა, კარიაული, გ. ჭელაძე, კიკნაძე (მუჯირი, 85-ე წუთი), ბუცურეიშვილი, დემეტრაძე (ჩალაძე, 46), ჯიქია, ხომერიკი.

**ბულგარეთის ნაკრები:** კ. პეტკოვი, დ. ხრისტოვი, ივანოვი, კირილოვი, იონკოვი, პეტროვი, ალექსანდროვი, მ. ხრისტოვი (პრამატაროვი, 87), ჟაბოვი (ბორისოვი, 89), მ. პეტკოვი, ზაფიროვი.

**მსაჯები:** პეტოლა, სიმბლომი, მანტერე, კოხო (ყველა ფინეთი), უეფას დელეგატი პონე (ბელგია).

**გოლები:** ჟაბოვი, 58 წ. ბორისოვი, 89, ჯიქია 90.

**გაფრთხილება:** დ. ხრისტოვი 43, მ. პეტკოვი 53, ზაფიროვი 84.

**მინდვრიდან გაძევება** ჭელაძე 78.

მასპინძლებმა მთელი შეხვედრა საკმაოდ მდორედ წარმართეს. ეს, პირველ ყოვლისა, განაპირობა ალბათ მათმა სატურნირო მდგომარეობამ — ქვეჯგუფში ისინი ბოლო, V ადგილზე არიან (ალბანეთს ახალგაზრდული გუნდი ქვეჯგუფში არ წარუდგენია) და თუ არ ჩავთვლით იმ ერთადერთ გამარჯვებას (3-0) მოლდოვას გუნდთან, რომელიც შინ მოიპოვეს, ამ მარათონში სხვა მხრივ ვერაფრით გამოუჩენიათ თავი და საკმაოდ უღიმღამო „პასივი“ აქვთ — 0-1, 1-2, 1-5, 1-2, 0-2, 0-3... ამ მატჩში მშრალი ანგარიშით წაგებისგან თავისიანები იხსნა ჯიქიამ, რომელმაც ბოლო წუთზე პრესტიჟის გოლი გაიტანა.

## სნაიპერები

(პირველი გვერდიდან)

**სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 9**
**კლინსმანი (გერმანია) — 7**
**კოსტადინოვი (ბულგარეთი) — 7**
**ქეცბაია (საქართველო) — 4**
**შ. არველაძე (საქართველო) — 4**
**ბალაკოვი (ბულგარეთი) — 3**
**კუშტა (ალბანეთი) — 3**
**კირსტენი (გერმანია) — 3**
**ქინქლაძე (საქართველო) — 3**
**მიოლერი (გერმანია) — 3**
**კლეშჩენკო (მოლდოვა) — 2**
**მათეუსი (გერმანია) — 2**
**სანდერსი (უელსი) — 2**
**პენევი (ბულგარეთი) — 2**
**რაკლი (ალბანეთი) — 2**
**სპიდი (უელსი) — 2**
**ზამერი (გერმანია) — 2**

ივანოვი, ლეჩკოვი (ორივე — ბულგარეთი), ჰერლიხი, შტრუნეცი, ციგე, ბაბელი, ჰელმერი, კუნცი (ყველა — გერმანია), გოგრიჭიანი (საქართველო), ზმიანი, კაცაი, ბელაი, ვატა (ყველა — ალბანეთი), ოპრია, ამელოუსი, სეკუ, პოგორელოვი, კურტიანუ, რებეჟა (ყველა — მოლდოვა), კოულმენი, გიგსი, ბლეიკი, სიმონსი (ყველა — უელსი) — 1-1. ერთი გოლი საკუთარ კარში გაიტანა სტროენკომ (მოლდოვა).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ყოფილი საბჭოთა კავშირის 10 რესპუბლიკა მონაწილეობს. დღეისათვის მათი სატურნირო მონაცემები ჯგუფებში დაკავებული ადგილების მიხედვით (რესპუბლიკების წინ დასმული ციფრები) ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 31-4 | 23 |
| 3.ლიტვა | 9 | 5 | 1 | 3 | 13-8 | 16 |
| 3.საქართვ. | 9 | 5 | 0 | 4 | 12-10 | 15 |
| 4.უკრაინა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-12 | 13 |
| 5.ლატვია | 10 | 4 | 0 | 5 | 11-20 | 12 |
| 5.ბელარუსი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| 6.მოლდოვა | 9 | 2 | 0 | 7 | 8-25 | 6 |
| 6.სომხეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-14 | 5 |
| 6.აზერბაიჯ. | 9 | 0 | 0 | 9 | 2-29 | 0 |
| 6.ესტონეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 3-31 | 0 |

# ვინ გამოიჩენს თავს?

ყოველთვიურმა გამოცემა „ფუტბოლმა“ (№ 41) დაბეჭდა ცნობა იმის თაობაზე, რომ კომპანია „ევროკარდ-მასტერკარდმა“ მოაწყო ევროპის სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა თუ რომელი ქვეყნის ფეხბურთელებს აქვთ შანსი თავი გამოიჩინონ 1996 წლის კონტინენტის ჩემპიონატში (4-4 მოთამაშე) და, თუმცა, ზოგიერთ გუნდს თეორიული შანსიც კი აღარა აქვს გავიდეს ფინალურ ეტაპზე, ამ სიაში მათი წარმომადგენლებიც დაასახელეს.

კანდიდატთა შორის არიან ავსტრიელი ტონი პოლსტერი, ინგლისელები — ალან შირერი, პოლ გასკოინი, ბელგიელი ენცო შიფო, ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი, გერმანელები — იურგენ კლინსმანი, ანდრეას კეპკე, ჰოლანდიელი დენის ბერგკამპი, იტალიელი პაოლო მალდინი, ხორვატიელი როპერტ პროსინეჩკი, ჩეხი იარი ნემეცი, რუმინელი ფლორინ რედუჩოუ, ესპანელი მიგელ ნადალი, რუსი ვალერი კარპინი, ფრანგი ალენ როში, თურქი პაკან შუქური და სხვანი.

საქართველოს ნაკრებში ჟურნალისტებმა გამოყვეს შოთა არველაძე, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე და კახაბერ ცხადაძე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი დაუნებით მოითხოვს ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში გუნდების რაოდენობა 22-დან 20-მდე შემცირდეს, როგორც ეს უწინ იყო. ჩემპიონატის გახანგრძლივებული ვადები ხელს უშლის საერთაშორისო კალენდარს. წინააღმდეგ შემთხვევაში უეფა სანქციებით იმუქრება.

● ჭ. ტრონჰეიმის „რუსენბორგი“, რომელმაც განვლილ ტურში ანგარიშით 2-0 დაამარცხა „მელდე“, მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. ამ კლუბმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა ნორვეგიის ჩემპიონობა.

● ინგლისის „ჩელსი“ ცდილობს აღიდგინოს ძველი სახელი და ამ მიზნით ახალ ფეხბურთელებს ყიდულობს. ასე შეიძინა მან ჰოლანდიელი რუუდ გულიტი და უელსელი მარკ ჰიუზი. „ჩელსი“ ამჟამად იტალიის „პარმადან“ ცდილობს გადაიბაროს შვედი თომას ბროლინი. იტალიელებმა ბროლინი 5,7 მილიონ დოლარად შეაფასეს.

● შვეიცის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტომი სვენსონმა განცხადა, რომ თავისი გუნდის განახლებას აპირებს. ამ მიზნით მას სურს მიიწვიოს ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეები, მცირე ხანს შემდეგ კი გაემგზავროს ტურნეს გასამართად ჰონკონგში, ავსტრალიასა და ბრაზილიაში.

● ჰელსინკში მოეწყო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფინეთისა და თურქეთის გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 0-0.

● ახალი საერთაშორისო გათამაშების აფრიკა-აზიის თასის ფინალური მატჩები გაიმართა ტუნისის „ესპერანსსა“ და ტაილანდის „ფარმერს ბანკს“ შორის. პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა (1-1), მეორე მოიგეს ტუნისელებმა — 3-0 და პრიზსაც ისინი დაეუფლნენ.

● ცნობილმა არგენტინელმა ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ, რომელიც 1991 წლიდან თამაშობს იტალიის „ფიორენტინაში“, 2000 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. ბატისტუტა ახლა 26 წლისაა. ასევე 2000 წლამდე მოაწერა ხელი კონტრაქტს იტალიის „მილანთან“ საფრანგეთის „კანის“ ნახევარმცველმა აფრიკელმა პატრის ვიეირამ.

**11 ოქტომბერს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები უფლება — 8 ჯგუფში. გთავაზობთ ამ შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**I ჯგუფი**
ისრაელი — აზერბაიჯანი 2-0
რუმინეთი — საფრანგეთი 1-3
სლოვაკეთი — პოლონეთი 4-1

**II ჯგუფი**
კვიპროსი — მაკედონია 1-1
დანია — ესპანეთი 1-1

**III ჯგუფი**
ისლანდია — თურქეთი 0-0
შვეიცარია — უნგრეთი 3-0

**IV ჯგუფი**
ლიტვა — ესტონეთი 5-0
სლოვენია — უკრაინა 3-2

**V ჯგუფი**
ლუქსემბურგი — ბელარუსი 0-0
მალტა — ჰოლანდია 0-4

**VI ჯგუფი**
ავსტრია — პორტუგალია 1-1
ირლანდია — ლატვია 2-1
ლიხტენშტეინი — ჩრ. ირლანდია 0-4

**VII ჯგუფი**
საქართველო — ბულგარეთი 2-1
უელსი — გერმანია 1-2

**VIII ჯგუფი**
სან-მარინო — ფარერის კ-ბი 1-3
რუსეთი — საბერძნეთი 2-1

**შესარჩევი ციკლის ბოლო ტურის წინ, დარჩენილ შეხვედრათა შედეგების მიუხედავად, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში მონაწილეობის უფლება გაინაღდეს რუმინეთის, ესპანეთის, დანიის, თურქეთის, შვეიცარიის, ხორვატიის, პორტუგალიის, გერმანიის, ბულგარეთის, რუსეთისა და შოტლანდიის გუნდებმა.**

## გათამაშების კალენდარი

**I ჯგუფი**
15.11 სლოვაკეთი — რუმინეთი
აზერბაიჯანი — პოლონეთი
საფრანგეთი — ისრაელი

**II ჯგუფი**
15.11 ესპანეთი — მაკედონია
კვიპროსი — ბელგია
დანია — სომხეთი

**III ჯგუფი**
11.11 უნგრეთი-ისლანდია
15.11 შვეცია — თურქეთი

**IV ჯგუფი**
11.11 იტალია — უკრაინა
15.11 სლოვენია — ხორვატია
იტალია — ლიტვა

**V ჯგუფი**
12.11 მალტა — ბელარუსი
15.11 ჩეხეთი — ლუქსემბურგი
ჰოლანდია — ნორვეგია

**VI ჯგუფი**
15.11 პორტუგალია — ირლანდია
ჩრდ. ირლანდია — ავსტრია

**VII ჯგუფი**
15.11 გერმანია — ბულგარეთი
მოლდოვა — საქართველო
ალბანეთი — უელსი

**VIII ჯგუფი**
15.11 შოტლანდია — სან-მარინო
რუსეთი — ფინეთი
საბერძნეთი — ფარერი

# ჩვენი მორაგბეები გამარჯვებით იწყებენ...

თბილისში, ეროვნულ სტადიონზე გამართული მატჩით დაიწყო საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ევროპის რანგის ასპარეზობებში მონაწილეობის ათვლა. ეს იყო პირველი ოფიციალური შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის „B—1“ ჯგუფის ერთ-ერთ წარმოადგენელთან გერმანიის ნაკრებთან, რომელიც დამთავრდა ქართველი მორაგბეების დამაჯერებელი გამარჯვებით — 14:3. დებულება განმეორებით მატჩს არ ითვალისწინებს. ეს ტურნირი, უფრო ჩვენთვის ცნობილი წრიული სისტემის მსგავსად იმართება, ოღონდ მიმოსვლითი მატჩების განსხვავებული წესებით.

18 ნოემბერს ჩვენები სტუმრად ჯერ ჰოლანდიელებს შეხვდებიან, 5 დღის შემდეგ კი ეთამაშებიან დანიას. ზემოაღნიშნულ ჯგუფში ხსენებული გუნდების გარდა მონაწილეობს ჩეხეთის ნაკრები.

სურათზე: განვლილი მატჩის ერთი ეპიზოდი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# „დინამოზე“ აუზი ამუშავდა

**თბილისელებს, განსაკუთრებით მოზარდებს, მრავალ-ერთი საცურაო აუზებში სტუმრობა სახელწოდებით ფელარ-აფინანსებს გამჯანსაღებელ ობიექტებს, ისეთი ენთუზიასტები კი, როგორიც თენგიზ ივანიშვილია, ჯერჯერობით იშვიათად ჩანან.**

თენგიზ ივანიშვილი თბილისის „დინამოს“ საწყლოსნო სპორტული კლუბის უფროსი მწვრთნელია, ცნობილი სპეციალისტი. ოთხი წლის წინათ შეუდგა „დინამოს“ სტადიონზე ხანდაზმული 25-მეტრიანი აუზისა და ბავშვთა ე.წ. საჭყუმპალაოს აღდგენას. მუშაობდა მარტო, მაგრამ შეუპოვრად. დაიწყო წყლის ავტონომიური გამაცხელებლის მოწყობით, ეს იყო ყველაზე მთავარი, დანარჩენი — ათასი წვრილმანი პარალელურად გვარდებოდა. მერე და მერე ენთუზიასტს გვერდში დაუდგნენ მეგობრები ომარ სხილაძე, ყოფილი წყალბურთელები ძმები ბესიკ და ზაზა მასხულიები, მწვრთნელები ემზარ იორბელიძე, მერაბ ჩხაიძე, მალხაზ და ვახტანგ შიხიაშვილები, ყოფილი მოცურავეები რუსუდან მიქაძე, ნატაშა სოლოვიოვა, ზინა გომილკო... და აი, სულ ახლახანს აუზი თბილი წყლით ამუშავდა.

როგორც თ. ივანიშვილმა გვითხრა, აუზი მოემსახურება წყალბურთელებს, ცურვის შესწავლის მსურველებს, იმუშავებს გამჯანსაღებელი ჯგუფები. მოზარდს, რომელიც ცურვას კარგად დაეუფლება და სპორტული მონაცემები ექნება, წყალბურთელთა სექციაში გადაიყვანენ, იქ მეცადინეობები უკვე უფასო იქნება. იღებენ ყველა ასაკის მსურველს 5 წლის ასაკიდან. აუზი დილის 8 საათიდან იმუშავებს.

მსურველები ნუღარ დააყოვნებთ, ჯგუფები კომპლექტდება. ტელ. 95-04-56.

# კასპაროვმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაღდი მსოფლიო ჩემპიონია

(პირველი გვერდიდან)

ლობას. ანანდს სულ 9 წუთი დარჩა 12 სვლისთვის. ცხადი იყო, იგი ველარ მოიგებდა ამ პარტიას. მაინც რამ განაპირობა ამ მატჩში ინდოელის ესოდენ მძიმე დამარცხება, მით უმეტეს, რომ პირველ ნახევარში იგი თითქოს არაფრით ჩამოუვარდებოდა ჩემპიონს, მესამე პარტიის მოგებაც კი შეეძლო. ისევ მსოფლიო ჩემპიონს მოვუსმინოთ.

კასპაროვი: სინამდვილეში ანანდი უკეთ თამაშობს, ვიდრე ეს ამ მატჩში ჩანდა. მას გასაოცარი ბუნებრივი ინტუიცია აქვს, ახლა კი თამაშის ისეთი გეგმა დაუსახეს, რომელიც მხოლოდ ანატოლი კარპოვს თუ შეეფერება. ამ მატჩისთვის მზადების პერიოდში მწვრთნელებმა ანანდს ხელი ააღებინეს თამაშის საკუთარ სტილზე, არასწორად შემართეს. ანანდმა მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა შინ მომზადებულ სქემებს. როცა საქმე რეალურ ბრძოლამდე მივიდა, იგი საამისოდ მზად არ აღმოჩნდა. არ ვიცი, ვინ იყო მთავარი „იდეოლოგი“ ანანდის ბანაკში, თუკი ეს დვორეცკია, შეგვიძლია მას „მივულოცოთ“ ანანდის დაღუპვა. დიახ, ანანდი დაღუპეს, აიძულეს ისე ეთამაშა, როგორც არასოდეს უთამაშია. ეს ანანდი აღარ იყო. საწყენია, რომ მწვრთნელები მე მებრძოდნენ, უნდოდათ, როგორმე არ მიეცათ ჩემთვის თამაშის საშუალება. განა უკეთესი არ იყო ამის ნაცვლად ანანდის თამაშის ძლიერი მხარეები გამოეყენებინათ?

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონმა სრულიად დამახურებულად გაიმარჯვა. ანანდი, თუმცა, იგი ამ მომენტში პრეტენდენტთა შორის უძლიერესი იყო, ჩემპიონს ყველაფრით ჩამოუვარდებოდა, ეტყობა, თავისი რეზერვებიც ვერ გამოიყენა, ერთობ გაუბედავად მოქმედებდა მიტელშპილში და უკეთეს პოზიციებსაც კი ვერ იყენებდა. რაც შეეხება ენდშპილს, აქამდე საქმე ამ მატჩში ნამდვილად არ მისულა, ბრძოლის ბედი მანამდე წყდებოდა.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 10,5:7,5.

მაშ ასე, კასპაროვმა წარმატებით დაასრულა თავისი მეშვიდე მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ახლა იგი დაელოდება ორთაბრძოლას, კარპოვსა და კამსკის შორის, რათა შეიტყოს ვისთან შეიძლება მოუწიოს შეხვედრამ გაიასად, ე. წ. გამაერთიანებელ მატჩში, თუკი, გადაწყდა ყველა ორგანიზაციული საკითხი, რომელიც თან ახლავს ორი „კ“-ს სავარაუდო პაექრობას.

გივი გამრეკელი.


# შეამოწმეთ, ვინ მოიგო საგზური?

10 ოქტომბერს ინტერსპორტლოტოს კორპორაციის შენობაში შედგა საქველმოქმედო ლატარიის „საახალწლო სიხარულის“ გათამაშება, რომელიც უნდა შემდგარიყო 1995 წლის 14 იანვარს.

ყოველ 100 000 ბილეთში გათვალისწინებული იყო ერთი უცხოური მარკის ავტომობილის გათამაშება.

იმის გამო, რომ ლატარიის ბილეთების რეალიზება ვერ მოხერხდა საკმაო რაოდენობით (გავრცელდა 19037 ცალი) შემოსული მთლიანი თანხაც ვერ ფარავდა ავტომობილის ღირებულების ნახევარს.

გათვალისწინებული იქნა რა შექმნილი მდგომარეობა, ნაცვლად 50 %-ისა, გათამაშდა შემოსული თანხის 51%, რამაც შეადგინა უცხოეთში სამოგზაურო 5 საგზური.

ამ საგზურების მოგება წილად ხვდა შემდეგ ნომრებს:

№ 030384; № 020790; № 039012; № 024285; № 033989.

ლატარიის ბილეთების მიღების ვადა მოგებათა გასანაღდებლად განსაზღვრულია 1996 წლის 10 აპრილამდე.

მოგებული ბილეთის მფლობელს უფლება აქვს საგზურის ნაცვლად მიიღოს მისი ღირებულება ეროვნულ ვალუტაში — ლარში.

მისამართი: ქ.თბილისი ჭავჭავაძის № 49, სპორტის დეპარტამენტი.

ტელ: 22-55-81.


# პროფესიულ რინგზე

ატლანტიკ-სიტში დიდი ინტერესი გამოიწვია მძიმე წონის მოკრივეთა მატჩმა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ესჩემპიონი ვბს-ს ვერსიით 30 წლის ინგლისელი ლენოქს ლუისი და 26 წლის ამერიკელი ტომი მორისონი. მიუხედავად იმისა, რომ ორთავე მოკრივე მძიმე, მანოკაუტებელი დარტყმებით გამოირჩევა, სპეციალისტთა უმრავლესობა გარკვეულ უპირატესობას ინგლისელ მოკრივეს ანიჭებდა, რომელიც თავის მეტოქეზე უფრო მაღალიც ხყო (194 სმ 188 სმ-ის წინააღმდეგ) და უფრო მძიმეც (ლუისი — 109,3 კგ, მორისონი — 103 კგ). ასაკში 4-წლიანი სხვაობა კი ვერაფერი ნუგეში იყო მორისონისთვის.

ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდო ლუისმა. მეორე, მეხუთე და მეექვსე რაუნდებში, მორისონი ნოკდაუნში იყო. მეექვსე რაუნდში, როცა ლუისმა მეორედ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში, არბიტრმა შეწყვიტა ბრძოლა და გამარჯვება ინგლისელს მიაკუთვნა.

ლუისს, ამ გამარჯვების შემდეგ, დიდი სურვილი აქვს შეხვდეს თანამემამულეს, მსოფლიოს ჩემპიონს ვბს-ს ვერსიით, ფრენკ ბრუნოს, მაგრამ თუ ბრუნომ თავის მომავალ მეტოქედ მაიკ ტაისონი აირჩია (ეს ალბათ ასეც იქნება, ვინაიდან ბრუნოსაც და ტაისონსაც ერთი პრომოუტერი ჰყავთ — დონ კინგი, რომელიც არაფრით არ გაუშვებს ხელიდან ინიციატივას), მაშინ ლუისი გამოიწვევს რიდიკ ბოუსა და ევანდერ ჰოლიფილდის 4 ნოემბრის მატჩში გამარჯვებულს.

ამასობაში მაიკ ტაისონი ჩავიდა ლასვეგასში, სადაც წვრთნის დასკვნით ციკლს ჩაატარებს ნოემბრის შეხვედრის წინ. გაიმართა პრესკონფერენცია მსოფლიოს ექსჩემპიონთან, რომელზედაც არაფერი არ ითქვა ახალი. ტაისონმა იხუმრა თავის პრომოუტერზე, მაგრამ ბოუ-ჰოლიფილდის მომავალი მატჩის კომენტარისგან თავი შეიკავა. გამოსვლის დასასრულს განაცხადა, რომ ძალზე გულდასაწყვეტი იქნება, თუ ორთაბრძოლა ბასტერ მატისთან ისეთივე ხანმოკლე აღმოჩნდება, როგორიც მაკინლისთან შეხვედრა იყო.


**საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემია აცხადებს მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის ასპირანტურის დასწრებულ (წარმოებიდან მოწყვეტით) განყოფილებაზე.**

მიღება წარმოებს სპეციალობით — ფიზიკური აღზრდის, სპორტული წვრთნის და გამჯანსაღებელი ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა (სპორტის სახეობების მიხედვით). ასპირანტურაში გამოყოფილია 5 ადგილი.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე;
2. დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან;
3. კადრების აღრიცხვის ფურცელი;
4. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
5. 6 ფოტოსურათი (უქუდოდ ზომით 3X4);
6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
7. ავტობიოგრაფია;
8. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობის მიხედვით);
9. ამონაწერი აკადემიის საბჭოს სხდომის ოქმიდან.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა.

ახალკურსდამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებათ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია.

ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ საკონკურსო მისაღებ გამოცდებს სპეციალობაში და უცხო ენაში (გერმანული; ინგლისური ან ფრანგული).

საბუთები მიიღება 1995 წლის 1-დან 15 ნოემბრის ჩათვლით.

გამოცდები დაიწყება 21 ნოემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: 380062. თბილისი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელ. 29-37-94.


# კროსვორდი



**თარაზულად:** 5. ბაქანი წყალში მხტომელთათვის, 7. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 8. სპორტის შედარებით ახალი სახეობა ჩვენში, 11. კოშკიდან წყალში ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი (1972), 12. ქალაქი, სადაც ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, 13. ბაირაღი, დროშა... 16. გვარი, რომლის სახელს ატარებს რეკორდების წიგნი, 17. ქალაქი ბასკონიაში, რომელსაც ჰყავს ცნობილი საფეხბურთო გუნდი, 21. მძლეოსნური იარაღი, 22. გუნდური თამაში ყინულზე და ბალახზე, 23. ცნობილი შვედი მოთხილამურე, 26 ოლიმპიადის მონაწილე, 27. ქართული ალპინიზმის ცენტრი, 28. ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი ევროპაში.

**შვეულად:** 1. რომაულ მითოლოგიაში ბედ-იღბლის ღვთაება, რომლის იმედი ხშირად აქვთ სპორტსმენებს, 2. ველოსიპედისტთა საასპარეზო, 3. სწრაფი, მკვირცხლი, მალი... 4. სახელგანთქმული იაპონელი ძიუდოისტი, 6. ბულგარეთის უძლიერესი საფეხბურთო გუნდი, 9. მოკლე მანძილებზე მორბენალი, 10. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა საშუალო თაობის წარმომადგენელი, 14. ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 15. ტანვარჯიშული იარაღი, 18 ოთხი ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენი საქართველოდან, 19 ზამთრის სპორტის ცენტრი იუგოსლავიაში, 20. სპორტული შეჯიბრების შედეგების ყოველმხრივი გარჩევა-განხილვა, 24. ხერხი, ფანდი... 25. მთათა სისტემა დასავლეთ ციმბირის სამხრეთში.

## „ლელოს“ 38-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 4. ფიხთაუ, 6. ლუკეში, 9. მოსკოვი, 11. ეთიოპია, 12. ასტურია, 14 იჯარა, 16. ხმალი, 19. ტატრა, 21. ატაში, 22. აია, 23. მემორიალი, 24. ვბს, 27. რეიდი, 29. კრახი, 30. კენია, 31. ფიალა, 33. მოკრივე, 35. გოლიათი, 36. ვალდანო, 37. სიკორი, 38. აგონია.

**შვეულად:** 1. სარმა, 2. ბარკლი, 3. გურია, 5. ისტორია, 7. შამუგია, 8. ათლეტი, 10. ბილბაო, 13. სტაიერი, 15. რეზერვი, 17. მიულერი, 18. ქეცბაია, 20. კორტი, 25. ციტროუ, 26. შამათი, 28. იკაროსი, 29 კახიანი, 32. დიდუბე, 34. ევერი, 35. გონგი.


**საქართველოს განათლების სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, განათლების სამინისტროს ცენტრალური სასპორტო სკოლა, ამავე სამინისტროს სამთო-სათხილამურო სპორტსკოლა და სპორტსაზოგადოება „მართვე“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამთო-სათხილამურო სპორტული სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი**

**ზურაბ მაისურაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**პანაშვიდი 17-18. X, 16 სთ; გამოსვენება 19.X.14 სთ. მისამართი: კავსაძის, 4.**



მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. „ლელოს“ სამგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური. მ. წოწორია